

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
შპს „ელიტ არბიტრაჟი“-ს
პარტნიორთა კრების მიერ
2009 წლის “27” მარტს ოქმი №1

შპს “ელიტ არბიტრაჟი”
LTD „ELIT ARBITRAGE“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

2009 წელი

კარი პირველი

შესავალი

მუხლი 1. დებულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

- 1.1. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი – შპს „*ELIT ARBITRAGE*“ შემოკლებით „EA“
- 1.2. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე – შპს „*ELIT ARBITRAGE*“-ის თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.
- 1.3. არბიტრაჟი – ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, დებულებით დადგენილი წესით განიხილოს მხარეთა შორის წამოჭრილი დავა.
- 1.4. არბიტრი – არბიტრაჟის წევრი.
- 1.5. დავა – დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს.
- 1.6. მხარეები – პრეტენდენტი და მოპასუხე.
- 1.7. პრეტენდენტი – მხარე, რომელიც საქმეს განსახილველად გადასცემს არბიტრაჟს.
- 1.8. მტკიცებულება – ნებისმიერი წერილობითი ან ნივთიერი მონაცემი, მოწმის მიერ დადასტურებული ფაქტები, რომლის მეშვეობითაც არბიტრაჟი ადგენს მხარეთა მოთხოვნებისა და განცხადებების სამართლიანობასა და დასაბუთებულობას.
- 1.9. საარბიტრაჟო განხილვა – არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვა.
- 1.10. საარბიტრაჟო შეთანხმება – წერილობითი შეთანხმება მხარეთა შორის ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვის გზით მოწესრიგების შესახებ.
- 1.11. დებულება – მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

- 2.1. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი განიხილავს საბანკო, კომერციულ, საფინანსო და სამოქალაქო სამართლებრივ დავებს მოქმედი კანონმდებლობის და დებულებით დადგენილი წესების მიხედვით.
- 2.2. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ხელმძღვანელობს დებულების იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებს შესაბამისი საარბიტრაჟო დავის განხილვის, საპროცესო მოქმედების შესრულების დროს. ამასთან, თუ საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე ნაწილი ეწინააღმდეგება ამ დებულების რომელიმე წესს, მოქმედებს ამ დებულების შესაბამისი წესი.
- 2.3. დავის სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტის ინტერესებიდან გამომდინარე, მოდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე (არბიტრაჟი) უფლებამოსილია

- განხორციელოს დებულებით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი საპროცესო მოქმედება.
- 2.4. მუდმივმოქმედ არბიტრაჟში დავის განხილვის დაწყების საფუძველია ერთ-ერთი მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია.
 - 2.5. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი დავას განიხილავს არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შესახებ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. საარბიტრაჟო შეთანხმება მიჩნეულია წერილობითი ფორმით დადებულად, თუ ის მოცემულია მხარეთა მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში, ან დადასტურებულია წერილების გაცვლის გზით, ან საპრეტენზიო განცხადებით და მასზე გამოძახილით, რომლითაც მხარეები გამოხატავენ სურვილს, დავა განიხილოს მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა.
 - 2.6. მხარეებს შეუძლიათ დავის საარბიტრაჟო განხილვის პერიოდში საქმე დაამთავრონ მორიგებით. პრეტენდენტს შეუძლია უარი თქვას საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, ხოლო მოპასუხეს შეუძლია ცნოს საარბიტრაჟო პრეტენზია.
 - 2.7. არბიტრაჟში საქმის განხილვა მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობის საფუძველზე.
 - 2.8. არბიტრაჟის სხდომები დახურულია (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან).
 - 2.9. არბიტრაჟში საქმის განხილვა მიმდინარეობს ზეპირად (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან).
 - 2.10. არბიტრაჟის წევრი ვალდებულია დაიცვას საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან).
 - 2.11. საარბიტრაჟო განხილვა განხორციელდება ქართულ ენაზე (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან). პირს, რომელმაც არ იცის საარბიტრაჟო განხილვის ენა, შეუძლია ჰყავდეს თარჯიმანი.
 - 2.12. მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შეუძლია მოსთხოვოს მხარეებს ყველა წარმოდგენილი დოკუმენტის, მტკიცებულების თარგმნა საარბიტრაჟო განხილვის ენაზე. მუდმივმოქმედ არბიტრაჟს მხარეები ყველა წერილობით დოკუმენტს წარუდგენენ საარბიტრაჟო განხილვის ენაზე.
 - 2.13. არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სახელით.
 - 2.14. არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები მხარეთათვის სავალდებულოა შესასრულებლად.
 - 2.15. საარბიტრაჟო განხილვის ადგილია მუდმივმოქმედი არბიტრაჟის იურიდიული მისამართი. ამასთან, კონკრეტული დავის განმხილველი არბიტრაჟი უფლებამოსილია, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, განსაზღვროს საარბიტრაჟო განხილვის სხვა ადგილი.

მუხლი 3. არბიტრაჟის შემადგენლობა, აცილება

- 3.1. არბიტრაჟის შემადგენლობა განისაზღვრება ერთი ან სამი წევრით, ამ მუხლში მოცემული დებულებებისა და მხარეთა შეთანხმების გათვალისწინებით. თუ მხარეები შეთანხმდებიან, დავა განიხილოს არბიტრაჟმა ორი წევრის ან სამ წევრზე მეტი შემადგენლობით, ჩაითვლება, რომ მხარეები შეთანხმდნენ დავა განიხილოს არბიტრაჟმა სამი წევრის შემადგენლობით.
- 3.2. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 200000 (ორასი ათასი) ლარს, არბიტრაჟის შემადგენლობა განისაზღვრება ერთი წევრით (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან).

- 3.3. თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 200000 (ორასი ათასი) ლარს, მაგრამ ნაკლებია 1000000 (ერთი მილიონი) ლარზე, დავას განიხილავს არბიტრაჟი ერთი წევრის შემადგენლობით (თუ მხარეთა შორის არ იქნება შეთანხმება, დავა განიხილოს არბიტრაჟმა სამი წევრის შემადგენლობით).
- 3.4. თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000000 (ერთი მილიონი) ლარს, არბიტრაჟის შემადგენლობა განისაზღვრება სამი წევრით (თუ მხარეთა შორის არ იქნება შეთანხმება, დავა განიხილოს არბიტრაჟმა ერთი წევრის შემადგენლობით).
- 3.5. თუ არბიტრაჟის შემადგენლობა განისაზღვრება სამი წევრით, ერთ არბიტრს (რომელიც ამავდროულად იქნება არბიტრაჟის თავმჯდომარე) ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებიდან 5 დღის ვადაში, ორი წევრიდან ერთს – მოსარჩელე, ერთს კი – მოპასუხე. მოსარჩელე ვალდებულია არბიტრი დანიშნოს საარბიტრაჟო პრეტენზიის მუდმივმოქმედი არბიტრაჟისათვის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში. მოპასუხე ვალდებულია არბიტრი დანიშნოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟიდან საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებიდან 7 დღის ვადაში. თუ მხარე უარს იტყვის არბიტრის დანიშვნაზე ან გადააცილებს არბიტრის დანიშვნის ვადას, გადაცილებიდან 5 დღეში არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.
- 3.6. თუ არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ერთით, არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებიდან 5 დღის ვადაში.
- 3.7. არბიტრი მიჩნეულ იქნება დანიშნულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის 3.5.-ე და 3.6-ე პუნქტებით გათვალისწინებულ ვადაში:
 ა) მოაწერს ხელს საკონორარო ხელშეკრულებას მუდმივმოქმედ არბიტრაჟთან; და ბ) მოაწერს ხელს დეკლარაციას იმის შესახებ, რომ არ არსებობს მისთვის ცნობილი ისეთი გარემოებები, რომლებმაც შესაძლებელია საფუძვლიანი ეჭვი გამოიწვიოს არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში. ნებისმიერი ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში, მხარის მიერ არბიტრი დანიშნულად არ იქნება მიჩნეული. საკონორარო ხელშეკრულების და დეკლარაციის სტანდარტულ ფორმას ამტკიცებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.
- 3.8. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე უფლებამოსილია გადააყენოს და მის მაგივრად დანიშნოს ახალი არბიტრი (არა აქვს მნიშვნელობა, ვისი დანიშნულია გადააყენებული არბიტრი) იმ შემთხვევაში, თუ:
- არბიტრი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ან დატოვებს არბიტრაჟის სხდომას; ან
 - არბიტრი, თუნდაც საპატიო მიზეზით, ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას სულ ცოტა 10 დღით მაინც;
 - არბიტრი არ ასრულებს ან უსაფუძვლოდ აჭიანურებს კანონით და/ან დებულებით განსაზღვრულ საკუთარ მოვალეობებს;
 - უარს ამბობს მიიღოს მონაწილეობა დავის განხილვაში, იყოს არბიტრი.
- 3.9. არბიტრის გარდაცვალების შემთხვევაში, ახალ არბიტრს ნიშნავს პირი, ვის მიერაც ის იყო დანიშნული საერთო წესის დაცვით.
- 3.10. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ განკარგულებას იღებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.
- 3.11. მხარეს უფლება აქვს შეცვალოს თავისი დანიშნული არბიტრი, არბიტრის დანიშვნისათვის ამ მუხლის 3.5-ე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.
- 3.12. მხარეს შეუძლია მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ ეს უკანასკნელი არის:
 1) ქმედობაუნარიო ან შეზღუდულქმედობაუნარიანი პირი;

- 2) პოლიტიკური თანამდებობის პირი, ან სახელმწიფო მოსამსახურე;
 - 3) მსჯავრდებული;
 - 4) მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სხდომის მდივნად ამ საქმის ადრინდელ განხილვაში;
 - 5) მხარის ან მისი წარმომადგენლის მეუღლე, შვილი, დედა, მამა, და ან ძმა;
 - 6) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან აკავშირებს საერთო უფლებები და ვალდებულებები ამა თუ იმ მხარესთან;
 - 7) თუ არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებიც იწვევს დასაბუთებულ ეჭვს არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში.
- 3.13. არბიტრის აცილების შემთხვევაში, ახალი არბიტრი ინიშნება იმავე წესით, როგორც იყო დანიშნული შესაცვლელი არბიტრი.
 - 3.14. მხარეს არა აქვს უფლება, მოითხოვოს თავის მიერ დანიშნული არბიტრის აცილება.
 - 3.15. არბიტრაჟის შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის მაინც აღმოჩნდება ასეთი კავშირი, ისინი უნდა ჩამოცილდნენ დავის განხილვას.
 - 3.16. ხანდაზმულობის ვადა არბიტრაჟის აცილების მოთხოვნისათვის არის 5 დღე არბიტრის დანიშნიდან ან იმ დღიდან, როცა მხარისათვის ცნობილი გახდა აცილების წარმომქმნელი გარემოების შესახებ,
 - 3.17. არბიტრის აცილების საკითხს განიხილავენ არბიტრაჟის სხვა წევრები. ხოლო, თუ აცილების შესახებ განუცხადეს არბიტრს, რომელიც ერთპიროვნულად იხილავს საქმეს, აცილების საკითხს წყვეტს თვით ეს არბიტრი. აცილების მიღების შემთხვევაში, არბიტრი საქმეს გადასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, რომელიც ამ საქმის განსახილველად ნიშნავს სხვა არბიტრს.
 - 3.18. თუ აცილების შესახებ განუცხადეს სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის მთელ შემადგენლობას, საკითხს გადაწყვეტს ამავე არბიტრაჟის სრული შემადგენლობა ხმათა უმრავლესობით. არბიტრაჟის მთელი შემადგენლობის, ან მისი წევრების უმრავლესობის აცილების შემთხვევაში, არბიტრების დანიშვნა მოხდება თავდაპირველი პროცედურის დაცვით.
 - 3.19. არბიტრის, ისევე, როგორც ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის და სხდომის მდივნის აცილების შესახებ, დადგენილება გამოაქვს არბიტრაჟს, განკარგულება კი – მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს.
 - 3.20. არბიტრაჟის ყველა წევრის ან უმრავლესობის შეცვლის შემთხვევაში, უნდა განმეორდეს მათ შეცვლამდე განხორციელებული ყველა საარბიტრაჟო მოქმედება.
 - 3.21. ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია დებულებით გათვალისწინებული საერთო საფუძვლებით.

მუხლი 4. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები, დავის საგნის ღირებულება

- 4.1. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯებს შეადგენს არბიტრაჟის და დამატებითი ხარჯები.
- 4.2. არბიტრაჟის ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო მოსაკრებელი და დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები.
- 4.3. დამატებით ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული და მტკიცებულებათა გამოთხოვის ან/და მათ უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები.

- 4.4. საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული, გასწიოს რაიმე ხარჯი დავის განხილვასთან დაკავშირებით.
- 4.5. საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდევინება წარმოებს:
 - ა) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;
 - ბ) შეგებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;
 - გ) საარბიტრაჟო საჩივარზე სხვა კერძო არბიტრაჟის მიერ განხილული (გადაწყვეტილი) საქმის გადასინჯვის შესახებ.
 - დ) პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე.
- 4.6. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს სადავო საგნის ღირებულების 10 000 (ათი ათას) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარში 2%-ს, 10 000 (ათი ათას) აშშ დოლარიდან 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარში 1.5 %-ს, ხოლო 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ზევით 1 %-ს
- 4.7. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა იყოს 200 (ორასი) ლარზე ნაკლები, და 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარზე მეტი.
- 4.8. მხარის განცხადების საფუძველზე არბიტრაჟის თავმჯდომარე უფლებამოსილია შეამციროს, გადაავადოს ან განაწილვადოს ამ დებულებით დადგენილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი.
- 4.9. პრეტენზიის უზრუნველყოფის მოსაკრებელი შეადგენს მიუხედავად დავის საგნის ღირებულებისა 150 (ას ორმოცდაათი) ლარს.
- 4.10. დავის საგნის ღირებულებას განსაზღვრავს პრეტენდენტი.
- 4.11. დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება:
 - ა) თანხის ანაზღაურების მოთხოვნისას – მოთხოვნილი თანხით;
 - ბ) ქონების გამოთხოვის მოთხოვნაზე – გამოსათხოვი ქონების ღირებულებით;
 - გ) გარკვეული მოქმედების ან უმოქმედობის შესახებ მოთხოვნაზე – პრეტენდენტის ქონებრივი ინტერესების შესაბამისად.
- 4.12. თუ პრეტენდენტის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება დავის საგნის ნამდვილ ღირებულებას, დავის საგნის ფასს თავისი ინიციატივით განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.
- 4.13. პრეტენზიაში, რომელიც შედგება რამდენიმე მოთხოვნისაგან, თითოეულის ღირებულება უნდა განისაზღვროს ცალ-ცალკე. ასეთ შემთხვევაში, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მოთხოვნისათვის ცალ-ცალკე და, შესაბამისად, ცალ-ცალკე დგინდება საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა, რომელიც საბოლოოდ ჯამდება.
- 4.14. სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პრეტენზიის შეტანის დროს არსებული საბაზრო ფასები.
- 4.15. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება, საქმის გადაწყვეტისას დადგენილი საარბიტრაჟო პრეტენზიის ფასის შესაბამისად.
- 4.16. დავის განხილვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები:
 - ა) საარბიტრაჟო ხელშეკრულებით გათალისწინებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები;
 - ბ) სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები;
 - გ) თარჯიმნად მოწვეული პირებისათვის მისაცემი თანხები;

- დ) ადგილობრივ დათვალიერებებზე გაწეული ხარჯები.
- 4.17. ექსპერტების, სპეციალისტების და თარჯიმნების სამუშაოსა და არბიტრაჟში გამოცხადებისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც იმუამდგომლა მათ მოწვევაზე.
 - 4.18. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, ცალკეულ შემთხვევებში, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს ან ვადებად დაუყოს არბიტრაჟის ხარჯების გადახდა, ან/და შეამციროს მათი ოდენობა.
 - 4.19. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განახევრდება, თუ პრეტენდენტმა უარი თქვა თავის საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, ამ შემთხვევაში, ზედმეტად გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი უბრუნდება მის შემომტანს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, შემომტანის მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
 - 4.20. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე უარის თქმა, საარბიტრაჟო პრეტენზიის ცნობა ან მხარეთა მორიგება სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ 4.19-ე პუნქტით გათვალისწინებული პირობა გავრცელდება ამ ნაწილის შესაბამისად გადახდილ საარბიტრაჟო მოსაკრებელზე.
 - 4.21. არბიტრაჟს (არბიტრს), რომელიც აწარმოებს ადგილზე დათვალიერებას, აუნაზღაურდება მგზავრობასთან, ბინის დაქირავებასთან დაკავშირებული ხარჯები, აგრეთვე, თუ დათვალიერება წარმოებს სხვა ქალაქში, მიეცემა დღიური თანხა 50 ლარის ოდენობით.
 - 4.22. არბიტრაჟის ხარჯები (საარბიტრაჟო მოსაკრებელი და დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), დებულებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც მოითხოვა შესაბამისი საარბიტრაჟო მოქმედების შესრულება.
 - 4.23. იმ მხარის მიერ გაღებული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდას, რომლის სასარგებლოდაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, არბიტრაჟი აკისრებს მეორე მხარეს (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან).
 - 4.24. თუ პრეტენდენტმა უარი თქვა საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს. მაგრამ თუ პრეტენდენტმა მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრის შემდეგ, მაშინ პრეტენდენტის მიერ გაწეული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების ანაზღაურებას (მოსარჩელის თხოვნით) არბიტრაჟი დააკისრებს მოპასუხეს.

მუხლი 5. საარბიტრაჟო - საპროცესო ვადები

- 5.1. საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით და დებულებით დადგენილ ვადაში.
- 5.2. თუ საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა კანონით ან დებულებით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს არბიტრაჟი. საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის განსაზღვრისას არბიტრაჟმა უნდა გაითვალისწინოს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის დებულებით დაწესებული ვადა და იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა.

- 5.3 საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს არბიტრაჟის ყველა წევრის დანიშნვიდან 10 დღის განმავლობაში.
- 5.4. საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა ითვლება მისი დაწყების კალენდარული თარიღის ან განმსაზღვრელი მოვლენის შემდგომი დღიდან.
- 5.5. საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა გამოითვლება მხოლოდ დღეებით.
- 5.6. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა ოფიციალურ არასამუშაო დღეს, ვადის დამთავრების დღედ მიჩნეულ იქნება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.
- 5.7. განსაზღვრულვადიანი საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაათხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაათხ საათამდე, ვადა გასულად არ იქნება მიჩნეული.
- 5.8. ყველა დაუმთავრებელი საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა შეწყდება საქმის წარმოების შეჩერებით. ვადის შეჩერება დაიწყება იმ გარემოებათა წარმოშობის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოების შეჩერებას. წარმოების განახლების დღიდან განახლება საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის მიმდინარეობა.
- 5.9. საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლება კანონით, დებულებით ან არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.
- 5.10. არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადა არბიტრაჟმა შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.
- 5.11. არბიტრაჟმა შეიძლება აღადგინოს საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულებისთვის კანონით ან დებულებით განსაზღვრული ვადა, თუ ცნობს, რომ საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა მოხდა საპატო მიზეზით.
- 5.13. ვადის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანასთან ერთად უნდა შესრულდეს ის საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება, რომლის ვადაც გასულია.
- 5.14. განცხადება საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ არბიტრაჟს წარედგინება წერილობით. მასში მითითებული უნდა იყოს მიზეზები, რომლებმაც განაპირობა საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ვადაში შეუსრულებლობა.
- 5.15. განცხადებას ვადის აღდგენის შესახებ არბიტრაჟი განიხილავს მხარეთათვის შეუტყობინებლად.
- 5.16. საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც დროულად ვერ შეასრულა საპროცესო მოქმედება.

მუხლი 6. საარბიტრაჟო შეტყობინება და დაბარება

- 6.1. არბიტრაჟი, არბიტრი ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე (საარბიტრაჟო უწყებით – წერილობითი შეტყობინებით, ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ტექნიკური საშუალებით) აცნობებს მხარეს არბიტრაჟის სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების დროისა და ადგილის შესახებ.
- 6.2. საარბიტრაჟო უწყებით (დებულების 6.1. მუხლით გათვალისწინებული წესით) არბიტრაჟში ასევე იბარებენ მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს.

- 6.3. შეტყობინება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის მიიჩნევა ჩაბარებულად, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს პირადად, მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ან/და იურიდიულ მისამართზე. პირადად ჩაბარებად ითვლება შეტყობინების უშუალოდ ჩაბარება ან გადაცემა ტექნიკური საშუალებით (ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვ.).
- 6.4. მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები, შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ყველა ის საკითხი, რომელიც შეიტანება შეტყობინებაში. ტექნიკური საშუალებით შეტყობინებისას დგება აქტი, რომელიც უნდა ჩაიკეროს საქმეში.
- 6.5. შეტყობინება უნდა შეიცავდეს:
- 1) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სახელწოდებასა და ზუსტ მისამართს;
 - 2) მითითებას გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ; ხოლო თუ შეტყობინება ეგზავნება წარმომადგენელს, მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მხარეს, რომლის წარმომადგენელიც ის არის;
 - 3) საქმის დასახელებას, რომლის გამოც იბარებენ ამა თუ იმ პირს და მითითებას დავის საგნის შესახებ;
 - 4) დასაბარებელი პირის ვინაობას, აგრეთვე იმას, თუ რა სტატუსით არის იგი დაბარებული;
 - 5) წინადადებას მხარეების მიმართ, წარმოადგინონ მათთან არსებული ყველა მტკიცებულება;
 - 6) მითითებას, რომ ადრესატის არყოფნისას შეტყობინების მიმღები პირი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს შეტყობინება ადრესატს;
 - 7) მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს არბიტრაჟს გამოუცხადებლობის მიზეზები;
 - 8) შეტყობინებას, რომ დაბარებული პირის გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვას.
- 6.6. შეტყობინებასთან ერთად არბიტრაჟი მოპასუხეს უგზავნის საარბიტრაჟო პრეტენზიას და თანდართული დოკუმენტების ასლებს. შეტყობინებასთან ერთად არბიტრაჟი მოსარჩელეს უგზავნის მოპასუხის წერილობითი განცხადების ასლს, თუ ასეთი განცხადება შემოვიდა არბიტრაჟში შეტყობინების გაგზავნის დროისათვის.
- 6.7. არბიტრაჟი ვალდებულია, მიღებიდან ორი დღის განმავლობაში მხარეს გაუგზავნოს მეორე მხარისაგან მიღებული ყოველი განცხადების, დოკუმენტის, თხოვნის, ინფორმაციის ასლი. დოკუმენტების გაგზავნა შესაძლებელია როგორც ფოსტით, ისე ტექნიკური საშუალების გამოყენებით, არბიტრაჟის არჩევით.
- 6.8. თუ პირველად გაგზავნისას ვერ ხერხდება შეტყობინების ადრესატისათვის ჩაბარება, ის დასაბარებელ პირს დამატებით ერთხელ მაინც უნდა გაეგზავნოს იმავე ან არბიტრაჟისათვის ცნობილ სხვა მისამართზე. თუ ამ წესის დაცვის მიუხედავად მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე შეტყობინება ვერ ჩაბარდა, შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება. მოპასუხის შემთხვევაში, დამატებით აუცილებელია შეტყობინების გამოქვეყნება იმ გაზეთის მეშვეობით, რომელიც ვრცელდება მის საცხოვრებელ რაიონში. მხარე უფლებამოსილია, არბიტრაჟის განჩინების საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით. შეტყობინება მხარისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

- 6.9. ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი შეტყობინების და დოკუმენტების ჩაბარება დასტურდება:
- ა) ტელეფონის შემთხვევაში – ტექნიკური საშუალებით შეტყობინების/დოკუმენტების გადაცემის შესახებ შედგენილი აქტით;
 - ბ) ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის შემთხვევაში – შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მიწოდებული დადასტურებით და ტექნიკური საშუალებით შეტყობინების/დოკუმენტების გადაცემის შესახებ შედგენილი აქტით.
- 6.10. შეტყობინების ან/და დოკუმენტების დროულად ჩაბარების მიზნით, მხარეს შეუძლია არბიტრაჟის მიმართ წერილობითი განცხადების საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კურიერის გადაადგილება და მისი მეშვეობით შეტყობინების/დოკუმენტების ჩაბარება. პირი, რომელსაც არბიტრმა დაავალა შეტყობინების/დოკუმენტების მიტანა, ვალდებულია, არბიტრაჟს დაუბრუნოს მისი მეორე ეგზემპლარი მიმღების ხელმოწერით.
- 6.11. მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან, აცნობონ არბიტრაჟს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას შეტყობინება გაიგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად იქნება მიჩნეული, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.
- 6.12. თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი აკეთებს სათანადო აღნიშვნას უწყებაზე, რომელიც უბრუნდება არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად იქნება მიჩნეული და არბიტრაჟს შეეძლება განიხილოს დავა.
- 6.13. უწყების სანიმუშო ფორმასა და შინაარსს ადგენს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.
- 6.14. თუ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის უფლება მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, უწყება ჩაბარდება მას და იგი ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისთვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისთვის.

კარი მეორე

მხარეები

მუხლი 7. მხარეთა საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებები

- 7.1. მხარეები სარგებლობენ თანაბარი საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ: გაეცნონ საქმის მასალებს; გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან; გადაიღონ ასლები; განაცხადონ აცილებების შესახებ; წარმოადგინონ მტკიცებულებანი; მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში; შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს; განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები; მისცენ არბიტრაჟს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა

- საკითხზე; დაეთანხმონ უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები; ისარგებლონ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.
- 7.2. მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ როგორც უშუალოდ, ისე უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.
 - 7.3. ორგანიზაციის წარმომადგენლობა დასტურდება ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით.
 - 7.4. ფიზიკური პირების წარმომადგენლობა დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით.
 - 7.5. მარწმუნებელს უფლება აქვს, საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც წერილობით აცნობებს არბიტრაჟს და წარმომადგენელს. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. წარმომადგენლის (რომელსაც უფლებამოსილება აქვს შეწყვეტილი) მიერ კანონისა და დებულების შესაბამისად შესრულებული ყველა იურიდიული და საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.
 - 7.6. საარბიტრაჟო პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ.
 - 7.7. თანამონაწილენი სარგებლობენ კანონით და დებულებით მხარეებისათვის მინიჭებული ყველა უფლებით.
 - 7.8. თუ არბიტრაჟი საქმის განხილვისას დაადგენს, რომ საარბიტრაჟო პრეტენზია აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს მოთხოვნის უფლება, მას შეუძლია სათანადო პირის თანხმობით საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი პრეტენდენტი სათანადო პრეტენდენტით, თუ სათანადო პრეტენდენტსა და მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.
 - 7.9. თუ სათანადო პრეტენდენტი არ არის თანახმა, შეცვალოს არასათანადო პირი, არბიტრაჟი შეწყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას. თუ არასათანადო პრეტენდენტი არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო პრეტენდენტით, არბიტრაჟი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე.
 - 7.10. თუ საქმის განხილვისას არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო პრეტენზია აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, მას შეუძლია პრეტენდენტის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით, თუ: ა) პრეტენდენტსა და სათანადო მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება, ან ბ) თუ მოპასუხე არ არის წინააღმდეგი დავა განიხილოს არბიტრაჟმა.
 - 7.11. თუ პრეტენდენტი არ არის თანახმა, სათანადო მოპასუხით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე, არბიტრაჟი თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის პრეტენდენტს საარბიტრაჟო პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე.
 - 7.12. თუ პრეტენდენტსა და მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და მოპასუხე არ არის თანახმა, მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, არბიტრაჟი განუხილველად ტოვებს საარბიტრაჟო პრეტენზიას.

კარი მესამე

მტკიცებულებები

მუხლი 8. მტკიცებულებათა შეგროვება

- 8.1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.
- 8.2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებით.
- 8.3. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს განსაზღვრული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებით.
- 8.4. საარბიტრაჟო განხილვისათვის საჭირო მტკიცებულებებს წარმოადგენენ მხარეები. არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) შეუძლია შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.
- 8.5. არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია ნებაყოფლობით გამოითხოვოს მტკიცებულებები (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან).
- 8.6. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და წარმოდგენა, არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა გამოთხოვის მიზნით; ასევე, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანის მოთხოვნით.
- 8.7. არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს საარბიტრაჟო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.
- 8.8. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს არბიტრაჟის შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.
- 8.9. ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოებების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, არბიტრაჟმა შეიძლება საკმარისად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.
- 8.10. მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად:
 - ა) რომლებსაც არბიტრაჟი მიიჩნევს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებად;
 - ბ) რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით, როცა საქმეს განიხილავს არბიტრაჟი იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია გადაწყვეტილება.
- 8.11. მხარის განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის მოთხოვნით არბიტრაჟს წარედგინება წერილობითი ფორმით. ასეთი განცხადების ზეპირი ფორმით წარედგენა დასაშვებია არბიტრაჟში დავის განხილვის

- დროს. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ ზეპირი განცხადებით აღძრული შუამდგომლობა შეიტანება საარბიტრაჟო სხდომის ოქმში.
- 8.12. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით განცხადებულ შუამდგომლობაში უნდა აისახოს:
- ა) მტკიცებულებანი, რომელთა უზრუნველყოფაც აუცილებელია;
 - ბ) გარემოებანი რომელთა დასადასტურებლადაც საჭიროა ეს მტკიცებულებანი;
 - გ) მიზეზები, რომლებმაც აიძულა განმცხადებელი, მიემართა შუამდგომლობით მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ;
 - დ) მოწინააღმდეგე მხარის გვარი, სახელი და მისამართი.
- 8.13. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ არბიტრაჟი იღებს დადგენილებას, ხოლო მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე – განკარგულებას. ასეთი დადგენილების (განკარგულების) მიღებით შესაძლოა საარბიტრაჟო საპროცესო ვადების შეჩერება შესაბამისი მტკიცებულებების მიღებამდე.
- 8.14. მხარის განცხადებით არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა დამატებითი ან განმეორებითი უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანის თხოვნით.
- 8.15. მტკიცებულებათა უზრუნველყოფად გაწეულ ხარჯებს გადაიხდის პირი, რომელმაც იშუამდგომლა არბიტრაჟის (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის) წინაშე ამგვარი უზრუნველყოფის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. საბოლოოდ, ამ ხარჯების განაწილება მოხდება არბიტრაჟის მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

მუხლი 9. ექსპერტიზის დანიშვნა

- 9.1. თუ დავის განხილვასთან დაკავშირებით არსებობს ან წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მოთხოვნით დანიშნოს ექსპერტიზა. ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა, თუ ამას ორივე მხარე მოითხოვს.
- 9.2. უარი ექსპერტიზის დანიშვნაზე უნდა დასაბუთდეს.
- 9.3. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტის დასკვნა, ვინ დაინიშნა ექსპერტად და რა მასალები წარედგინა ექსპერტს გამოსაკვლევეად. აუცილებლობის ან მხარეების მოთხოვნის შემთხვევაში, ექსპერტიზის ჩასატარებლად არბიტრაჟი ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს.
- 9.4. აგრეთვე, მხარეებს უფლება აქვთ წარმოადგინონ კითხვები, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა. საბოლოოდ იმ საკითხთა წრეს, რომლისთვისაც საჭიროა ექსპერტის დასკვნა, განსაზღვრავს არბიტრაჟი.
- 9.5. ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო მასალებს არბიტრაჟს წარუდგენენ მხარეები. ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო მასალების წრეს განსაზღვრავს არბიტრაჟი.
- 9.6. მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაეცნონ ექსპერტის დასკვნას. მათივე თხოვნით, ექსპერტის დასკვნა გამოქვეყნდება არბიტრაჟის სხდომაზე. დასკვნის განმარტებისა და შეკვების მიზნით ექსპერტს შეიძლება მიეცეს შეკითხვები.

- 9.7. ექსპერტს პირველად კითხვებს უსვამს ის პირი, რომლის თხოვნითაც დაინიშნა ექსპერტიზა. არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერ მომენტში დაუსვას შეკითხვები ექსპერტს.
- 9.8. თუ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, არბიტრაჟს შეუძლია დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა.
- 9.9. ექსპერტებს არბიტრაჟის დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის მიეცემათ ჰონორარი.
- 9.10. ამ მუხლის 9.9.-ე პუნქტით გათვალისწინებულ ხარჯებს გადაიხდის პირი, რომელმაც იშუამდგომლა არბიტრაჟის (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის) წინაშე ექსპერტის დანიშვნის შესახებ. საბოლოოდ ამ ხარჯების განაწილება მოხდება არბიტრაჟის მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

კარი მეოთხე

საარბიტრაჟო წარმოება

მუხლი 10. საარბიტრაჟო პრეტენზია

- 10.1. საარბიტრაჟო განხილვის დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია.
- 10.2. საარბიტრაჟო პრეტენზია შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას;
 - ა) პრეტენდენტის გვარს, სახელს და მისამართს, ხოლო თუ პრეტენდენტი იურდიული პირია – მის სახელწოდებას და მისამართს;
 - ბ) წარმომადგენლის გვარს, სახელს და მისამართს, თუ საარბიტრაჟო პრეტენზია შეაქვს წარმომადგენელს.
 - გ) მოპასუხის გვარს, სახელს და მისამართს, ხოლო თუ მოპასუხე იურდიული პირია – მის სახელწოდებას და მისამართს;
 - დ) პრეტენდენტის მოთხოვნას;
 - ე) გარემოებებს, რომლებზედაც პრეტენდენტი ამყარებს თავის მოთხოვნებს;
 - ვ) მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს ამ გარემოებებს;
 - თ) საარბიტრაჟო პრეტენზიის ფასს, თუ შესაძლებელია მისი შეფასება;
 - ი) მითითებას საარბიტრაჟო შეთანხმებაზე;
 - კ) არბიტრობის სასურველი კანდიდატის სახელს, გვარს, მისამართს და სხვა მონაცემებს, თუ არბიტრს ნიშნავს პრეტენდენტი;
 - ლ) თუ პრეტენდენტი არბიტრის დანიშვნის უფლებას გადასცემს სხვა პირს, მითითებას ამის თაობაზე და ამ პირის რეკვიზიტებს;
 - მ) საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს;
 - ნ) საარბიტრაჟო პრეტენზიისათვის დართული საბუთების ნუსხას.
- 10.3. საარბიტრაჟო პრეტენზიას უნდა ერთვოდეს ის დოკუმენტი, სადაც მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმების შესახებ.
- 10.4. საარბიტრაჟო პრეტენზიაში შეიძლება იყოს აგრეთვე პრეტენდენტის მოთხოვნა არბიტრაჟისადმი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟისადმი), რათა მან:

- ა) დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომელიც მასთან ინახება და რომლებზედაც პრეტენდენტი ამყარებს თავის საპრეტენზიო მოთხოვნას;
 - ბ) გამოითხოვოს მტკიცებულებები და დაიბაროს მოწმეები;
 - გ) მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ მიმართოს სასამართლოს.
- 10.5. საარბიტრაჟო პრეტენზია და თანდართული საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნეს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.
- 10.6. თუ საარბიტრაჟო პრეტენზია შეტანილია ამ მუხლში მითითებული მოთხოვნების დარღვევით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავჯდომარე) უფლებამოსილია დაადგინოს ხარვეზი და პრეტენდენტს მისცეს ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, პრეტენზია შეტანილად არ მიიჩნევა და დაუბრუნდება მოსარჩელეს.
- 10.7. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავჯდომარე ვალდებულია პრეტენზიის ჩაბარებიდან, ან ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადის უშედეგოდ გასვლიდან სამი დღის განმავლობაში თავისი განკარგულებით მიიღოს იგი წარმოებაში ან უარი თქვას მის მიღებაზე.
- 10.8. მიღებული საარბიტრაჟო პრეტენზია, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, უნდა გადაეგზავნოს მოპასუხეს მისი წარმოებაში მიღებიდან ორი დღის ვადაში.
- 10.9. დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების მიზნით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავჯდომარე:
- ა) გადაუგზავნის მოპასუხეს პრეტენზიას და თანდართული საბუთების ასლებს;
 - ბ) დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას პრეტენზიასა და დართულ დოკუმენტებზე წერილობითი პასუხის წარმოსადგენად.
 - გ) განუმარტავს არბიტრის დანიშვნის უფლებას (თუ არბიტრაჟი უნდა დაკომპლექტდეს სამი წევრით).
- 10.10 მოპასუხის წერილობით პასუხში სასურველია მითითებული იყოს:
- ა) ცნობს თუ არა მოპასუხე პრეტენზიას;
 - ბ) თუ პრეტენზიას არ ცნობს, რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი პრეტენზიის წინააღმდეგ;
 - გ) რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები;
 - დ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე პრეტენზიისგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული პრეტენზიის აღძვრას, ხომ არ უარყოფს პრეტენზიის დასაშვებობას და ა.შ;
 - ე) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილეებად ან მესამე პირებად;
 - ვ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული არბიტრაჟის სხდომაზე;
 - ზ) სხვა საკითხებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საარბიტრაჟო წარმოებისათვის.
- 10.11 მოპასუხეს შეუძლია აღძვრას შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია საარბიტრაჟო პაექრობის დამთავრებამდე, თუ არბიტრაჟი შესაძლებლად მიიჩნევა მის განხილვას პრეტენდენტის საარბიტრაჟო პრეტენზიასთან ერთად.
- 10.12. შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენა შეიძლება საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით.
- 10.13 მოპასუხის წერილობითი პასუხისა და მასზე დართული საბუთების ასლები უნდა გადაეგზავნოს პრეტენდენტს.
- 10.14. პრეტენდენტს უფლება აქვს, წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები, აგრეთვე თავისი მოსაზრებები წერილობით, მოპასუხის წერილობითი პასუხის თაობაზე.
- 10.15 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი არ მიიღებს საარბიტრაჟო პრეტენზიას (საჩივარს), თუ:

1. არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება პრეტენდენტის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
 2. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრების თაობაზეც მხარეები არ შეთანხმებულან ან შეთანხმების მიუხედავად დარღვეულია გასაჩივრებისათვის გათვალისწინებული ვადა;
 3. საქმე ამ არბიტრაჟის განსჯადი არ არის;
 4. პრეტენზია შეიტანა ქმედობაუუნარო პირმა;
 5. დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არ აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.
- 10.16. საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს დასაბუთებული განკარგულება, რომელიც ბარდება პრეტენდენტს.
- 10.17. საარბიტრაჟო პრეტენზიის მიუღებლობის, ასევე საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი პრეტენდენტს უბრუნებს მის მიერ შეტანილ საბუთებს და საარბიტრაჟო მოსაკრებლის 70 პროცენტს.

მუხლი 11. საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფა

- 11.1. მხარეს შეუძლია განცხადებით მიმართოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს ან არბიტრაჟს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების ჩატარება მიაჩნია მხარეს საჭიროდ.
- 11.2. განცხადებას პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ან არბიტრი განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს შემდეგი დღისა.
- 11.3. საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს განკარგულება, ხოლო არბიტრს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის რა კონკრეტული ღონისძიება იქნა გამოყენებული.
- 11.4. სხვა ღონისძიებებთან ერთად, პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს:
 - ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სესხებზე, რომლებიც ეკუთვნის მოპასუხეს და იმყოფება მასთან ან სხვა პირთან;
 - ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.
- 11.5. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს (ან არბიტრაჟს) შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია პრეტენზიის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება დაშვებულ იქნეს პრეტენზიის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.

მუხლი 12. საქმის მომზადება არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განსახილველად

- 12.1. საქმის საარბიტრაჟო განხილვის მომზადების მიზნით არბიტრაჟი მიმართავს დებულებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.
- 12.2. არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად არბიტრაჟის თავმჯდომარეს შეუძლია:
 - ა) დაავალოს მხარეებს შეავსონ (საჭიროების შემთხვევაში განმარტონ) მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები; წინადადება მისცეს მათ, წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები;
 - ბ) მხარეთა თხოვნით გამოითხოვოს ის მტკიცებულებანი, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს;
 - გ) დებულებით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს;
 - დ) გადაწყვიტოს საარბიტრაჟო პროცესში თანამონაწილეობის დაშვების საკითხი;
 - ე) შეამოწმოს მტკიცებულებები, თუ ეს ძნელი იქნება არბიტრაჟში საქმის არსებითად განხილვისას ან გააჭიანურებს საქმის განხილვას;
 - ვ) ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება;
 - ზ) გადაწყვიტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი;
 - თ) დაიბაროს მოწმეები, სპეციალისტები საარბიტრაჟო სხდომის დღისათვის და სხვ.
- 12.3. არბიტრაჟის თავმჯდომარეს შეუძლია სხვა მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ხელს შეუწყობს არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებას.
- 12.4. ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებების შესრულებისას (ადგილზე დათვალიერება, მოწმეთა დაკითხვა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, გეგმებისა და გაანგარიშებების შედგენა და ა.შ) არბიტრაჟს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი.
- 12.5. სპეციალისტად მოწვეული პირი ვალდებულია გამოცხადდეს არბიტრაჟში, გაუწიოს მას კონსულტაცია, აღმოუჩინოს ტექნიკური დახმარება.
- 12.6. სპეციალისტის ზეპირი კონსულტაცია შეიტანება საარბიტრაჟო სხდომის ოქმში, ხოლო მისი წერილობითი პასუხები დაერთვის საქმეს.
- 12.7. მხარეები მოვალენი არიან, შეასრულონ არბიტრაჟის თავმჯდომარის მოთხოვნები საქმის მომზადების მიზნით.
- 12.8. საარბიტრაჟო განხილვის დღეს ნიშნავს არბიტრაჟი დადგენილებით.

მუხლი 13. გამოუცხადებლობა და დოკუმენტების წარმოუდგენლობა

- 13.1 არბიტრაჟის სხდომაზე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვას.
- 13.2 თუ არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადაში მხარე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს არბიტრაჟის მიერ მოთხოვნილ, საქმის განხილვასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, არბიტრაჟი უფლებამოსილია გადაწყვიტილება გამოითანოს მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე.

მუხლი 14. არბიტრაჟის მთავარი სხდომა

- 14.1. არბიტრაჟის თავმჯდომარე (არბიტრი) ხსნის, უძღვება და დახურულად აცხადებს საარბიტრაჟო სხდომას.
- 14.2. მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე საარბიტრაჟო სხდომის დარბაზში მყოფი მოქალაქე (თუ ასეთი დაშვებულია),

- ვალდებულნი არიან დაიცვან დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილონ არბიტრაჟის მითითებებს.
- 14.3. თავმჯდომარე აცხადებს არბიტრაჟის შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, არბიტრაჟის სხდომის მდივნად და განუმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.
 - 14.4. მხარეთა და მათ წარმომადგენელთა განცხადებები და შუამდგომლობები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის თუ გამოთხოვის, აგრეთვე, საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ, არბიტრაჟმა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკმაყოფილოს, თუ ასეთი შუამდგომლობები და განცხადებები საპატიო მიზეზით არ იყო აღძრული საარბიტრაჟო განხილვის დღის დანიშვნამდე. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა თხოვნით ან არბიტრაჟის ინიციატივით საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს.
 - 14.5. საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის შესახებ არბიტრის მოხსენებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს, ხოლო თუ ამ საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა, მაშინ – ამ სხდომის მასალებსა და ოქმს.
 - 14.6. არბიტრის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ იწყება მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენა.
 - 14.7. პირველად არბიტრაჟი მოისმენს პრეტენდენტსა და მის მხარეს მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მისი მოთხოვნა, რით ადასტურებს ამ გარემოებებს, კვლავ უჭერს თუ არა მხარს ამ მოთხოვნას და უარს ხომ არ ამბობს პრეტენზიაზე, ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.
 - 14.8. შემდეგ არბიტრაჟი მოისმენს მოპასუხისა და მის მხარეს მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მისი შესაგებელი, ხომ არ ცნობს პრეტენზიას, ან ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.
 - 14.9. თუ არბიტრაჟის სხდომაზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი მხარე, არბიტრაჟი მიიღებს ახსნა-განმარტებას ამ ერთი მხარისგან.
 - 14.10. არბიტრაჟის ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს. თუ შეკითხვა უადგილო ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამოკვლევასა და დადგენას, არბიტრაჟს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. შეკითხვის შეუსაბამოდ ან უადგილოდ მიჩნევა და მისი მოხსნა შეუძლია არბიტრაჟს.
 - 14.11. არბიტრაჟის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს მხარეებს მისცეს შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და არბიტრაჟში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას.
 - 14.12. მხარეთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობს არბიტრაჟი. იგი ხსნის, წარმართავს და წყვეტს შეჯიბრებას, სიტყვას აძლევს ან სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას, იღებს გადაწყვეტილებებს ზეპირი შეჯიბრების დროს წამოჭრილ საკითხებზე და აცხადებს ამ გადაწყვეტილებებს.
 - 14.13. არბიტრაჟი იღებს დებულებით გათვალისწინებულ ზომებს, რათა: საქმე ყოველმხრივ იქნეს გამოკვლეული, ზედმეტად არ გაჭიანურდეს მხარეთა პაექრობა, არ გართულდეს და საქმის განხილვა დამთავრდეს რაც შეიძლება სწრაფად – ერთ საარბიტრაჟო სხდომაზე და, თუ შესაძლებელია, შესვენების გარეშე.
 - 14.14. მხარეთა და სხვა პირთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ, არბიტრაჟი შეუდგება წარდგენილ მტკიცებულებათა შემოწმება-გამოკვლევას, რის შემდეგაც გამოაქვს გადაწყვეტილება ან ნიშნავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოცხადების დღეს, რითაც საარბიტრაჟო განხილვა მთავრდება.

მუხლი 15. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

- 15.1. საქმეზე არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება არბიტრაჟის ყველა წევრის დანიშნიდან 30 დღის ვადაში. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შესაძლოა გაგრძელებულ იქნეს ერთი თვით.
- 15.2. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს, იგი მიღებულ უნდა იქნეს ხმათა უმრავლესობით. თუ არბიტრი უარს აცხადებს, ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებას, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. არბიტრს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს. არბიტრებს არ აქვთ ულება, გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა.
- 15.3. გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით.
- 15.4. არბიტრაჟს არ აქვს უფლება თავისი გადაწყვეტილებით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.
- 15.5. გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.
- 15.6. გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება: მისი გამოტანის დრო და ადგილი; გადაწყვეტილების გამომტანი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელება და არბიტრაჟის შემადგენლობა; არბიტრაჟის სხდომის მდივანი; საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მოქმედებდა არბიტრაჟი; მხარეები, წარმომადგენლები და დავის საგანი.
- 15.7. გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას პრეტენდენტის მოთხოვნასა და მოპასუხის შესაგებელზე.
- 15.8. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს: არბიტრაჟის მიერ დადგენილი გარემოებანი; მტკიცებულებანი, რომლებსაც ეყრდნობა არბიტრაჟის დასკვნები; მოსაზრებანი, რომლებითაც არბიტრაჟი უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და კანონი ან/და სხვა სამართლებრივი ნორმები, რომლებითაც არბიტრაჟი ხელმძღვანელობდა.
- 15.9. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს არბიტრაჟის დასკვნას პრეტენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან პრეტენზიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, ასევე მითითებას საარბიტრაჟო ხარჯების განწილების თაობაზე.
- 15.10. თუ მხარეები არ მოითხოვენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ან ამას ითვალისწინებს საარბიტრაჟო შეთანხმება, არბიტრაჟს შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტილების შესავალი, აღწერილობითი და სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით.
- 15.11. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დამთავრებიდან არა უგვიანეს ხუთი დღის ვადაში.
- 15.12. არბიტრაჟის გადაწყვეტილებაზე არბიტრების ხელმოწერები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.
- 15.13. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოქვეყნება დაიშვება მხოლოდ მხარეთა თანხმობით.
- 15.14. არბიტრაჟს უფლება აქვს, მხარეთა შეთანხმებით განმარტოს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად.

- 15.15. არბიტრაჟს უფლება აქვს, გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება მიღებულ გადაწყვეტილებაზე.
- 15.16. არბიტრაჟს შეუძლია მხარის თხოვნით, ან საკუთარი ინიციატივით, გაასწოროს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული უზუსტობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.
- 15.17. გადაწყვეტილების გამომტან არბიტრაჟს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ:
- ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის დაკმაყოფილებასაც ითხოვდა მხარე, გადაწყვეტილება არ გამოტანილა;
 - ბ) არბიტრაჟს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს.
 - გ) არბიტრაჟს არ გადაუწყვეტია საარბიტრაჟო ხარჯების საკითხი.
- 15.18. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება წერილობით იქნეს მოთხოვნილი გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 10 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.
- 15.19. დამატებითი გადაწყვეტილება არბიტრაჟს გამოაქვს საარბიტრაჟო სხდომაზე, რომლის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანას. დამატებითი გადაწყვეტილება ძირითადი გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილია.
- 15.20. სანოტარო წესით დამოწმებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი დამოწმების მომენტიდან, თუ მხარეებს შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სხვა კერძო არბიტრაჟის მიერ გადასინჯვის შესახებ. ასეთი შეთანხმების არსებობისას, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი მიღებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, თუ ამ ვადაში მუდმივმოქმედ არბიტრაჟში არ იქნება წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს გადაწყვეტილების სხვა კერძო არბიტრაჟში გადასასინჯად განცხადების შეტანის ფაქტს.
- 15.21. სააღსრულებო ფურცელს (წარწერას) გასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

მუხლი 16. საქმის წარმოების შეწყვეტის სხვა საფუძვლები

- 16.1. დებულებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, არბიტრაჟი შეწყვეტს საქმის წარმოებას თუ:
- ა) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით პრეტენდენტის მიერ სარჩელზე უარის თქმის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
 - ბ) პრეტენდენტმა უარი თქვა პრეტენზიაზე.
- 16.2. საქმის წარმოება შეწყდება არბიტრაჟის დადგენილებით.
- 16.3. მხარეებს შეუძლიათ მორიგდნენ არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამომტანად. მხარეთა მორიგების შემთხვევაში, არბიტრაჟი უფლებამოსილია, დაამტკიცოს მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმება დადგენილების გამოტანით.
- 16.4. საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, არბიტრაჟისათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

მუხლი 17. პრეტენზიის განუხილველად დატოვება

- 17.1 მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, არბიტრაჟი განუხილველად დატოვებს პრეტენზიას, თუ:
- ა) პრეტენზია დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.
 - ბ) საარბიტრაჟო სხდომაზე პრეტენდენტი არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, განუხილველად დატოვოს პრეტენზია;
 - გ) არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა;
 - დ) პრეტენდენტმა გაითხოვა საარბიტრაჟო პრეტენზია.
- 17.2. პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება.
- 17.3. იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო პრეტენზიის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, კვლავ მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს საერთო წესების დაცვით.

მუხლი 18. საქმის წარმოების შეჩერება

- 18.1. აუცილებლობის შემთხვევაში, არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავჯდომარე) უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეაჩეროს ან გადადოს საქმის განხილვა.
- 18.2. საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება.

მუხლი 19. საარბიტრაჟო ოქმი

- 19.1. არბიტრაჟის თითოეული სხდომის შესახებ დგება ოქმი. ცალკეულ საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედებაზე ასევე შესაძლოა შედგენილ იქნეს შესაბამისი ოქმი.
- 19.2. ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ძირითად მომენტებს.
- 19.3. ოქმს ადგენს მდივანი, თვით საარბიტრაჟო სხდომაზე ან სხდომის გარეშე ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების დროს.
- 19.4. მხარეებს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, იშუამდგომლონ ოქმში იმ გარემოებათა შეტანის შესახებ, რომელსაც, მათი აზრით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.
- 19.5. ოქმი მომზადებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს არა უგვიანეს სამი დღისა სხდომის დამთავრების ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ.
- 19.6. ოქმს ხელს აწერენ არბიტრი და მდივანი, ხოლო, თუ საქმეს კოლეგიური არბიტრაჟი იხილავს, – ამ არბიტრაჟის თავჯდომარე და მდივანი.

19.7. არბიტრაჟს შეუძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს მაგნიტოფონი, კომპიუტერი ან სხვა ჩამწერი საშუალება, რომელთა ჩანაწერები გადატანილ უნდა იქნეს ოქმში.

მუხლი 20. საქმის გადასინჯვა

- 20.1. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, არბიტრაჟი უფლებამოსილია გადასინჯოს საქმე.
- 20.2. საქმის გადასინჯვა წარმოებს დებულებით დადგენილი წესების მიხედვით, ამ მუხლით გათვალისწინებული დამატებებით.
- 20.3. საქმის გადასინჯვის დაწყების საფუძველია დაინტერესებული მხარის საარბიტრაჟო საჩივარი საქმის გადასინჯვის შესახებ.
- 20.4. საქმის გადასინჯვაში არ შეიძლება მონაწილეობას იღებდნენ ის არბიტრები, რომლებიც მანამდე მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში.
- 20.5. არბიტრაჟი მოქმედებს მხარეთა მიერ შეთანხმებულ ფარგლებში. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, არბიტრაჟი საქმეს განიხილავს არსებითად.
- 20.6. არბიტრაჟი უფლებამოსილია:
 - ა) გააუქმოს ამ საქმეზე არსებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი;
 - ბ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი და არსებული გადაწყვეტილება დატოვოს ძალაში.

მუხლი 21. დასკვნითი დებულებები

- 21.1. ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ამ დებულებით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, არბიტრები და მხარეები მოქმედებენ ამ დებულების სულისკვეთებით და იყენებენ ყველა შესაძლებლობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ჰქონდეს იურიდიულად გამოყენებადი ძალა.

:

/გოჩა ტალახაძე/

/დავით მიქაბერიძე/

/თეა ჭურკვეიძე/

/მაია კიშინსკი/

/ნონა ბიწაძე/

„ “ მარტი 2009 წელი